

სასამართლოს სამფლიანი მონიტორინგის შედეგები – თავდაპირველი პრობლემები, სვლილებები ტენდენციები და არსებული გამოწვევები

(2011 წლის ოქტომბერი – 2014 წლის აპრილი)



მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) გულუხვი თანადგომით. წარმოდგენილ კვლევაზე პასუხისმგებელია საია და ის არ გამოხატავს USAID-ის, ამერიკის მთავრობისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მოსაზრებებს (EWMI)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სასამართლოს სამსლიანი მონიტორინგის შედეგები – თავდაპირველი პრობლემები, ცვლილებები ტენდენციებში და არსებული გამოწვევები

(2011 წლის ოქტომბერი – 2014 წლის აგვისტო)

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



USAID
აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა
და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი

ავტორთა მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას სასამართლო მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

ავტორი: თინათინ ავალიანი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ გვარამაძე



აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2014, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შ ი ნ ა ა რ ს ი

შინაარსი	4
მონიტორინგის დანყებამდე მართლმსაჯულებაში არსებული პრობლემები	4
მონიტორინგის მიზანი, დასაწყისი და შემდგომი განვითარება	6
მონიტორინგის პირველადი შედეგები და პროგრესი სამი წლის განმავლობაში	8
I. პირველი წარდგენის სხდომები	8
II. საპროცესო შეთანხმების სხდომები	13
III. საჯარო განხილვის უფლება	16
IV. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა	18
დასკვნა	24

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) საქართველოს სასამართლოებში მონიტორინგის პროექტის განხორციელება 2011 წლის ოქტომბერში დაიწყო. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საიამ დააგროვა მოცულობითი, ობიექტური ინფორმაცია, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდა ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არსებული ტენდენციების, მომხდარი ცვლილებებისა და დღეისათვის არსებული მდგომარეობის შეფასება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მოპოვებული ინფორმაციის ერთიან მიმოხილვას და შეჯამებას. დოკუმენტში გაეცნობით, თუ რითი იყო განპირობებული სასამართლო მონიტორინგის დაწყების აუცილებლობა, რა პრობლემები არსებობდა იმ დროისათვის სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, როგორ დაიწყო მონიტორინგის განხორციელება და რა იყო მისი მიზანი, რა შედეგები გამოიღო მან და, ბოლოს, როგორია დღეს არსებული მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესებზე.

მონიტორინგის დაწყებამდე მართლმსაჯულებაში არსებული პრობლემები

2008-2010 წლებში საქართველოში მართლმსაჯულების პროცესის სამართლიანობა, განსაკუთრებით კი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულება და სასამართლოს დამოუკიდებლობა, არაერთხელ გამხდარა განსჯის საგანი. ამ პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა აქტორი (მათ შორის, პოლიტიკური პარტიები, ადგილობრივი ექსპერტები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები) ამზადებდა ანგარიშებს ოპოზიციის წარმომადგენლებისა და ზოგიერთი სამოქალაქო აქტივისტის სავარაუდო პოლიტიკური დევნის შესახებ. ზემოხსენებულ ანგარიშებსა და საიას დამოუკიდებელ შეფასებებზე დაყრდნობით, არსებობდა ვარაუდი, რომ ადგილი ჰქონდა მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის, სამართალდამცავების მხრიდან ნივთმტკიცებების „ჩადების“ (ეს განსაკუთრებით შეეხება იარაღისა და ნარკოტიკის საქმეებს) და სამართლიანი სასამართლოს გარანტიების უხეში დარღვევის სავარაუდო ფაქტებს. აღნიშნული ვარაუდი და შეფასებები აგრეთვე აისახებოდა საქა-

რთველოს სახალხო დამცველის პერიოდულ ანგარიშებში¹ და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში ადამიანის უფლებათა შესახებ.²

საიას გამოცდილებით, სისხლის სამართლის პროცესში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ისიც, რომ არ იყო უზრუნველყოფილი მხარეთა რეალური თანასწორობა, რაზეც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ხარისხი. მაშინ, როდესაც ბრალდებას შეეძლო მონმეთა სავალდებულო დაკითხვა და ყველა მტკიცებულების მოპოვება, დაცვას ეს შესაძლებლობა შეზღუდული ჰქონდა (სამწუხაროდ, ეს პრობლემა დღესაც უცვლელი რჩება). ამასთან, არსებობდა საფუძველი ვარაუდისთვის, რომ, კანონმდებლობასთან ერთად, ბრალდების მხარეს სასამართლოც გარკვეულწილად პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა. ამ ვარაუდის საფუძველს იძლეოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეების 2008-2010 წლების სტატისტიკური მონაცემებიც,³ რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა 0.1 – 0.2 პროცენტს შეადგენდა. საყურადღებო იყო ისიც, რომ უზენაესი სასამართლოს 2010 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას სასამართლო საქმეთა ნახევარზე მეტში (54%) იყენებდა საპატიმრო ღონისძიებას, არასაპატიმრო ღონისძიებების 98%-ს კი გირაო წარმოადგენდა.⁴ ყოველივე ზემოაღნიშნული აძლიერებდა საზოგადოებაში არსებულ ვარაუდს, რომ სასამართლო ატარებდა ხელისუფლების მიერ 2006 წელს გაცხადებულ ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკას.⁵

¹ <http://ombudsman.ge/uploads/other/0/82.pdf>;
<http://ombudsman.ge/uploads/other/0/83.pdf>.

² <http://www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/2009/eur/136032.htm>.

³ <http://www.supremecourt.ge/information-on-basic-statistical-data-of-common-courts-of-georgia-for-2008/>;
<http://www.supremecourt.ge/information-on-basic-statistical-data-of-common-courts-of-georgia-for-2009/>;
<http://www.supremecourt.ge/information-on-basic-statistical-data-of-common-courts-of-georgia-for-2010/>

⁴ <http://www.supremecourt.ge/information-on-basic-statistical-data-of-common-courts-of-georgia-for-2010/>.

⁵ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2006 წლის 14 თებერვალს პარლამენტის წინაშე თავისი პერიოდული გამოსვლის დროს გააცხადა.

სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მოსამართლეთა რეაგირების შეზღუდული როლი პრობლემური იყო და დღესაც ასეა. კერძოდ, მოსამართლეებს შეეძლოთ მხოლოდ საჩივრის მოსმენა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, თუმცა, ისინი ვერ იღებდნენ ქმედით ზომებს ამ დანაშაულის გამოძიების უზრუნველყოფისათვის.

იმ პერიოდში საზოგადოებაში კითხვები არსებობდა საპროცესო გარიგების ინსტიტუტთან დაკავშირებითაც. კერძოდ, საპროცესო შეთანხმების განხილვისას მოსამართლეს ჰქონდა ძალიან შეზღუდული როლი და მათ მიერ თითქმის ავტომატურ რეჟიმში ხდებოდა საპროცესო შეთანხმებების დამტკიცება. სასამართლო პროკურატურას საპროცესო შეთანხმებების მხოლოდ 0.2%-ს უბრუნებდა უკან. გარდა ამისა, ბუნდოვანი იყო საპროცესო შეთანხმებებით დაკისრებული ჯარიმების საკითხი. დამატებით სასჯელად ჯარიმების გამოყენების ხშირი შემთხვევების გამო, არსებობდა ეჭვი, რომ საპროცესო შეთანხმებები წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ გზას.⁶

მიუხედავად ზემოაღნიშნული არაერთი პრობლემისა, არც ერთ ორგანიზაციას სისტემატურად არ შეუგროვებია და საჯაროდ არ გამოუქვეყნებია მონაცემები, რაც სასამართლო ხელისუფლების კრიტიკას ან დაასაბუთებდა, ან გააქარწყლებდა. ამიტომ პროცესის კომპლექსური შესწავლისათვის საიამ გადანყვიტა, განეხორციელებინა ფართომასშტაბიანი დაკვირვების პროექტი, რათა მოეძიებინა და სიღრმისეულად გაეანალიზებინა ფაქტები.

მონიტორინგის მიზანი, დასაწყისი და შემდგომი განვითარება

საიას სასამართლო მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა სისხლის სამართლის საქმეებზე გამართული სასამართლო სხდომების დაკვირვების გზით მათი გამჭვირვალობის გაზრდა, სასამართლოებში მიმდინარე პროცესებზე უფრო ნათელი სურათის შექმნა და სასამართლო რეფორმის შესახებ მიმდინარე დებატების მეტი ინფორმაციით უზრუნველყოფა.

⁶ აღნიშნული პრობლემების სიღრმისეულ განხილვას მიეძღვნა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 2010 წლის ანგარიში „საპროცესო შეთანხმება საქართველოში — შეთანხმებული სამართალი“ – <http://transparency.ge/post/report/saprotsetseso-shetankhmeba-sakartveloshi-shetankhmebuli-samartali>.

სასამართლო მონიტორინგი თავდაპირველად 2011 წლის ოქტომბერში მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში დაიწყო. 2012 წლის დეკემბრიდან საიამ გააფართოვა მონიტორინგის ფარგლები და მასში ქუთაისის საქალაქო სასამართლოც ჩართო. 2013 წლის იანვრიდან მონიტორინგის არეალში თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებიც მოექცა. 2014 წლის მარტიდან კი, მონიტორინგმა ბათუმის საქალაქო სასამართლოც მოიცვა. მონიტორინგის დაწყებიდან დღემდე საიამ ჯამში სასამართლო მონიტორინგის ექვსი ანგარიში მოამზადა.

მონიტორინგის განმავლობაში საიას მონიტორები ძირითადად შემთხვევით შერჩეულ სასამართლო სხდომებს ესწრებოდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ე.წ. „გახმაურებული“ საქმეები. საია საქართველოს სასამართლოებში გამართული პროცესების მხოლოდ მცირე ნაწილს ესწრებოდა, შესაბამისად, ის სრულყოფილად არ და ვერ ასახავდა ყველა მონაცემს, თუმცა, საიას ანგარიშებში მოცემული პროცენტული მაჩვენებლები არსებითად არც ერთ პერიოდში არ განსხვავდებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებისაგან. სწორედ ეს გვაძლევს შესაძლებლობას, საიას მიერ გაკეთებული აღმოჩენები განვაზოგადოთ მთელს მართლმსაჯულებაში მიმდინარე პროცესებზე და ვთქვათ, რომ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნები შეესაბამება იმ პერიოდებში სასამართლოებში რეალურად არსებულ მდგომარეობას.

მონიტორინგის პირველადი შედეგები და პროგრესი სამი წლის განმავლობაში

I. პირველი წარდგენის სხდომები

მონიტორინგის პროექტის სანყისმა ეტაპმა (2011 წლის ოქტომბერი – 2012 წლის სექტემბერი) აჩვენა, რომ პირველი წარდგენის სხდომებზე მოსამართლეები აშკარად მიკერძოებულები იყვნენ ბრალდების სასარგებლოდ. საიას მიერ დაკვირვებულ ყოველ საქმეზე სასამართლო აკმაყოფილებდა ბრალდების ყველა შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას. ყველა იმ საქმეში, სადაც პროკურატურა ითხოვდა წინასწარ პატიმრობას, სასამართლო აკმაყოფილებდა შუამდგომლობას და ბრალდებულს წინასწარ პატიმრობას უფარდებდა. ყველა იმ საქმეში, სადაც პროკურატურა ითხოვდა გირაოს, სასამართლო ბრალდებულს უფარდებდა გირაოს ზუსტად იმ ოდენობით, რამდენიც პროკურორს ჰქონდა მოთხოვნილი. მონიტორინგის სანყის ეტაპზე არ დაფიქსირებულა არც ერთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლე მიიღებდა პროკურორის მოთხოვნისაგან განსხვავებულ გადაწყვეტილებას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მონიტორინგის პირველი წლის განმავლობაში საიას არ დაუფიქსირებია პირველი წარდგენის არც ერთი სხდომა, სადაც სასამართლომ ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების გარეშე დატოვა. აღკვეთის ღონისძიებების შერჩევისას, სასამართლო იყენებდა აღკვეთის ღონისძიების მხოლოდ ორ სახეს – გირაოსა და პატიმრობას. არც ერთ ბრალდებულს, მათ შორის მათაც, რომლებსაც მცირე მნიშვნელობის დანაშაულში ედებოდათ ბრალი, არ შეფარდებია აღკვეთის უფრო მსუბუქი, ალტერნატიული ღონისძიება. აღნიშნული კიდეც უფრო აძლიერებდა შეხედულებას, რომ მოსამართლეები არ მოქმედებდნენ დამოუკიდებლად, არამედ მკაცრად მიჰყვებოდნენ იმდროინდელი მთავრობის მიერ გაცხადებულ „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკას.

მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის საკითხიც. დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ პროკურორის ყველა შუამდგომლობის დაკმაყოფილების პარალელურად, მოსამართლე ძალიან იშვიათად ითხოვდა პროკურორისაგან აღნიშნული შუამდგომლობების დასაბუთებას. სასამართლო არც თავად ცდილობდა, კითხვების დასმის მეშვეობით მიეღო დამატებითი ინფორმაცია, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა დასაბუთებული გადაწყვეტილების


მიღება. კერძოდ, პატიმრობის მოთხოვნის დროს, პროკურატურა არ ასაბუთებდა პატიმრობის გამოყენებისათვის კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი გარემოებების არსებობას. თავის მხრივ, არც მოსამართლე ცდილობდა გამოერკვია, რამდენად აუცილებელი იყო საპატიმრო ღონისძიების გამოყენება და რატომ არ იყო შესაძლებელი სხვა უფრო ნაკლებად მკაცრი ღონისძიების შეფარდება. გირაოს მოთხოვნის შემთხვევებშიც, როდესაც ბრალდების მხარე არ წარმოადგენდა შესაბამის ინფორმაციას, სასამართლო არასათანადოდ ან საერთოდ არ ცდილობდა, გამოერკვია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა, ან დაესაბუთებინა მისთვის შეფარდებული გირაოს თანხა. შედეგად, ბრალდებულებს ხშირად ეფარდებოდათ ისეთი გირაო, რომლის გადახდის არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდათ და ისინი, ფაქტობრივად, პატიმრობაში რჩებოდნენ.

ისეთ გარემოში, სადაც პროკურატურის მოთხოვნები კმაყოფილდებოდა, მიუხედავად მისი დასაბუთებულობის ხარისხისა, დაცვის განხორციელება ფორმალურ ხასიათს იღებდა. ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ დაცვა ხშირად გამოირჩეოდა პასიურობით და არ ცდილობდა მის ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებას ბრალდებულის ინტერესების დასაცავად.


მესამე საანგარიშო პერიოდიდან (2012 წლის ივლის-დეკემბერი) სასამართლოში დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებები. პირველი ცვლილება, რაც საიამ დააფიქსირა, იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც სასამართლო ავტომატურად აღარ იზიარებდა ბრალდების პოზიციას აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილებები დაემთხვა 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ სასამართლოში შესული საქმეების განხილვას. გამომდინარე აქედან, იმ ეტაპზე საიასთვის რთული აღმოჩნდა იმის შეფასება, თუ რამდენად მდგრადი იყო ეს ცვლილებები და მხოლოდ ამ კატეგორიის საქმეებს შეეხებოდა თუ, ზოგადად, ყველა საქმეს. 2013 წელს შეცვლილი მიდგომებით საქმეების განხილვის ტენდენცია გაგრძელდა. გაიზარდა იმ შემთხვევათა რიცხვი, სადაც მოსამართლე პროკურორის მოთხოვნისაგან განსხვავებულ გადანყვებილებას იღებდა და ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიებას უფრო მეტი განსჯის შემდეგ უფარდებდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამები გამოსახავს სიტუაციას აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში.

დიაგრამა №1




დიაგრამა №2



2014 წელს სიტუაცია კიდევ უფრო გაუმჯობესდა და მოსამართლეები მეტად ცდილობდნენ პროკურორის შუამდგომლობისა და დაცვის პოზიციის საფუძვლიანობის გამორკვევას. გარდა ამისა, პროკურორებიც ცდილობდნენ, უკეთ დასაბუთებული შუამდგომლობები წარედგინათ სასამართლოში. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული დასაბუთებული გადაწყვეტილებების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გამოსახავს სიტუაციას აღკვეთის ღონისძიების დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში.

დიაგრამა №3




2014 წელს ბრალდების მხარის შუამდგომლობები პატიმრობის შესახებ კიდევ უფრო დასაბუთებული გახდა. რაც შეეხება პროკურატურის მიერ წარმოდგენილ გირაოს შუამდგომლობებს, მათი ნაწილი კვლავ არასათანადოდ დასაბუთებული იყო, რადგან პროკურატურა იშვიათად წარმოადგენდა ინფორმაციას ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. თუმცა, აქ თავის დადებით როლს სასამართლო ასრულებდა და, ძირითადად, თავად ცდილობდა ბრალდებულისაგან ამ ინფორმაციის მოპოვებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო ყველაზე უარესი – ბათუმის საქალაქო სასამართლოში, სადაც მოსამართლეები კვლავ პასიურ როლს ინარჩუნებენ და არ ცდილობენ ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვებას აღკვეთის შუამდგომლობის განხილვისას.

2014 წელს პროგრესი დაფიქსირდა აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ პროკურორები უფრო ხშირად ითხოვდნენ პატიმრობის გამოყენებას, მათი შუამდგომლობები უფრო დასაბუთებული გახდა. გარდა ამისა, იმ შემთხვევებში, როდესაც პროკურორის მიერ წარმოდგენილი პატიმრობის შუამდგომლობა დაუსაბუთე-

ბელია, სასამართლოები უფრო იშვიათად აკმაყოფილებენ მას.⁷

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გამოსახავს სიტუაციას პროკურორის მიერ პატიმრობის მოთხოვნასთან დაკავშირებით მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში.

დიაგრამა №4




მხოლოდ ორი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკა, რომელიც 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის დეკემბრამდე ფიქსირდებოდა, ნელ-ნელა შეიცვალა 2013 წლიდან, როდესაც სასამართლომ ორ ბრალდებულს შეუფარდა პირადი თავდებობა და შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ. გარდა ამისა, საინტერესოა, რომ სასამართლოს მიდგომა ყველა შემთხვევაში ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებაც ნელ-ნელა შეიცვალა და 2013 წლისათვის სასამართლომ ორი ბრალდებული დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე. 2014 წლისათვის (იანვარი-აგვისტო) მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა და სასამართლოდან მეტი ბრალდებული გათავისუფლდა აღკვეთის ღონისძიების გარეშე. მონიტორინგის ბოლო პერიოდში მოიმატა აღკვეთის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების

⁷ 2012 წლის ოქტომბრამდე საიას არ დაუფიქსირებია არც ერთი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

მაჩვენებელმაც. ამასთან, რამდენიმე საქმეში პროკურორებმაც მოითხოვეს აღკვეთის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენება და, ცალკეულ შემთხვევებში, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნის გარეშე იშუამდგომლეს წინასასამართლო სხდომის დანიშვნა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გამოსახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

დიაგრამა №5



II. საპროცესო შეთანხმების სხდომები

საპროცესო შეთანხმების განხილვის სხდომებზე დასწრებისას გამოვლინდა, რომ მიუხედავად კანონმდებლობით სასამართლოზე დაკისრებული ვალდებულებისა, მოსამართლეები პასიურები იყვნენ. მონიტორინგის საწყის ეტაპზე საპროცესო შეთანხმებების დადება თითქმის ავტომატურ რეჟიმში მიმდინარეობდა და საერთოდ არ ხდებოდა შეთანხმების კანონიერებისა და სამართლიანობის დადგენა. მოსამართლეთა პასიურობა თვალშისაცემი იყო იმ ფონზე, როდესაც ის აბსოლუტურად ყველა საპროცესო შეთანხმებას ამტკიცებდა და არც ერთ საქმეში არ ინტერესდებოდა სასჯელის სამართლიანობით.

იმისათვის, რომ უზრუნველყო სასჯელის სამართლიანობა, მოსამართლეს უნდა განეხილა არსებული გარემოებები, გაეთვალისწინებინა ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები,

დანაშაულის ჩადენის გარემოებები და შეთანხმებული სასჯელი. კანონი არ აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს სასჯელის სამართლიანობის უზრუნველყოფა. თუმცა, სასჯელის შეფარდების ზოგადი პრინციპების თანახმად, მაგალითად, ჯარიმის შეფარდებისას, მოსამართლეს შეეძლო გამოერკვია: როგორი იყო ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა; შეეძლო თუ არა მას ჯარიმის გადახდა; იყო თუ არა ჯარიმის თანხა მიყენებული ზიანის შესაბამისი; გარემოებები, რომლებშიც დანაშაული იქნა ჩადენილი და მოსალოდნელი სასჯელის ზომა. გარდა ამისა, მოსამართლეს შეეძლო, მხარეებისათვის შეეთავაზებინა საპროცესო შეთანხმება შეცვლილი პირობებით.⁸ ეს ანიჭებდა მოსამართლეს შეზღუდულ, მაგრამ გარკვეულ ბერკეტს, ზეგავლენა მოეხდინა სასჯელის სამართლიანობაზე. მიუხედავად ამისა, საიამ დააფიქსირა, რომ საკითხის განხილვისას მოსამართლე იზღუდებოდა მისი საქმიანობის პროცედურული ვალდებულებებით და ბრალდებულისათვის ფორმალური კითხვის დასმით იმის შესახებ, ეთანხმებოდა თუ არა ის საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. აღნიშნულით მოსამართლეები არღვევდნენ ვალდებულებას, დარწმუნებულიყვნენ სასჯელის სამართლიანობაში.

2012 წლის ივლისიდან საიამ აგრეთვე დაიწყო საპროცესო შეთანხმებებში გამოყენებულ ჯარიმებზე დაკვირვება. დაკვირვების პირველი ექვსი თვის შედეგებმა აჩვენა, რომ საპროცესო შეთანხმებების 68%-ში დამატებით სასჯელად ჯარიმა იყო გამოყენებული. ამასთან, მაღალი იყო შეფარდებული ჯარიმების საშუალო ოდენობაც – თითოეულ ბრალდებულზე საშუალოდ 9 115 ლარი.

გარდა ამისა, საპროცესო შეთანხმების განხილვის სხდომებზე საიამ დააფიქსირა ე.წ. „მწვანე ქვითრები“, რომლებიც ბრალდებულის ახლობლებს მოჰქონდათ საპროცესო შეთანხმების განხილვის სხდომებზე პროკურორისათვის გადასაცემად, იმის საბუთად, რომ შესაფარდებელი ჯარიმა უკვე გადახდილი ჰქონდათ. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებდა სასამართლოს ფორმალურ როლზე საპროცესო შეთანხმების განხილვისას, რადგან მხარეებს შეთანხმების დამტკიცების აბსოლუტური მოლოდინი ჰქონდათ. ეს აძლიერებდა ვარაუდს, რომ საპროცესო შეთანხმებების გაფორმების ერთ-ერთი მიზანი სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსულობების ზრდა იყო.


⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 213.6.

2013 წლის მეორე ნახევრიდან დაფიქსირდა მოსამართლეთა გააქტიურების ტენდენცია საპროცესო შეთანხმებების განხილვისას, რაც კიდევ უფრო თვალში საცემი გახდა 2014 წლისათვის. მას შემდეგ, რაც მოსამართლე ვერ დარწმუნდა სამი საპროცესო შეთანხმების კანონიერებასა და სამართლიანობაში, მხარეებმა კი უარი განაცხადეს შეთანხმებაში ცვლილებების შეტანაზე, მოსამართლემ პირველად თქვა უარი მათ დამტკიცებაზე. საია დადებითად აფასებს ამ ცვლილებას და იმედს იტოვებს, რომ მოსამართლეები მომავალში კიდევ უფრო აქტიურად შეეცდებიან საპროცესო შეთანხმების სამართლიანობის და კანონიერების დადგენას და მხოლოდ ამის შემდეგ დაამტკიცებენ მას.


მონიტორინგის სანჯის ეტაპზე დამატებით სასჯელად ჯარიმების გამოყენების მაღალი მაჩვენებელი 2013 წლისათვის შემცირდა. აგრეთვე, შემცირდა თითოეული ბრალდებულისათვის შეფარდებული ჯარიმის საშუალო ოდენობაც. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის მონაცემებით ჯარიმების საშუალო ოდენობა კვლავ გაიზარდა, ის 2012 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელზე მაინც ბევრად ნაკლები იყო.

ქვემოთ მოცემული დიაგრამები ასახავს სიტუაციას 2012 წლის ივლისიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

დიაგრამა №6



დიაგრამა №7



III. საჯარო განხილვის უფლება

მონიტორინგის სანყისმა ეტაპმა გამოავლინა საქმის საჯარო განხილვასთან დაკავშირებული პრობლემები. საჯარო განხილვის უფლებით ეფექტურად სარგებლობისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ საზოგადოების დასწრება სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე. საზოგადოებას ასევე უნდა ჰქონდეს უფლება, წინასწარ იცოს ინფორმირებული საქმის შესახებ, რათა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაესწროს მის განხილვას. აქედან გამომდინარე, საჯარო განხილვის უფლება სასამართლოს ავალდებულებს, უზრუნველყოს საქმის განხილვის თარიღის, ადგილის, ბრალდებულის სრული სახელისა და გვარის და ბრალად წაყენებული მუხლების წინასწარ გამოქვეყნება. გამოვლინდა, რომ აღნიშნულ ვალდებულებას სასამართლო ყოველთვის ვერ ასრულებდა. განსაკუთრებით მწვავედ ეს პრობლემა პირველი წარდგენისა და ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე გამოიკვეთა.

პირველი წარდგენის იმ სხდომებიდან, რომელთა მონიტორინგ-საც საია სამი წლის განმავლობაში ახორციელებდა, სასამართლოს არც ერთი სხდომის შესახებ გამოუქვეყნებია ინფორმაცია წინასწარ. საიას მიერ საკითხზე ყურადღების გამახვილების მიუხედავად, სიტუაცია დღემდე უცვლელი დარჩა. თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ამის მიზეზი ტექნიკური შეზღუდვები იყო, რაც უკავშირდებოდა პირველი წარდგენის სხდომების ჩატარებას ბრალდებულის და-

კავებიდან მცირე დროის მონაკვეთში. ამასთან, გამოთქვამდნენ მზადყოფნას, მოეგვარებინათ ეს ტექნიკური პრობლემა. დაპირების მიუხედავად, ამ მიმართულებით არავითარი ღონისძიება გატარებულა.

ბათუმისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში სიტუაცია, გარკვეულწილად, უკეთესი იყო. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მსგავსად, არც ბათუმისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები აქვეყნებდნენ მოსმენის თარიღებს ელექტრონულ მონიტორებზე, მანდატური აცხადებდა ინფორმაციას სასამართლოს მისაღებში განხილვის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე და დაინტერესებულ პირებს აცნობებდა სხდომის ადგილსა და ბრალდებულის ვინაობას. თუმცა, მანდატური წაყენებულ ბრალს არ აცხადებდა.

საიამ მიიჩნია, რომ ბათუმისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში არსებული გამოცხადების მეთოდი არ იყო სრულყოფილი. პირს, რომელსაც სურდა პირველი წარდგენის სხდომაზე დასწრება, არ შეეძლო, დაედგინა დრო და ადგილი გონივრული ვადით ადრე. უფრო მეტიც, საზოგადოებას არ ეცნობებოდა ბრალდების შესახებ.

რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებს, მონიტორინგის საწყის ეტაპზე ინფორმაცია წინასწარ არც ამ სხდომების შესახებ ქვეყნდებოდა. გარდა ამისა, საზოგადოებას არ ჰქონდა ნაფიცი მსაჯულების შერჩევის არც ერთ იმ სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა, რომელთაც საია აკვირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სხდომა მოსამართლის მიერ არ იყო დახურული, დაინტერესებულ პირებს მათზე დასწრების უფლებას არ აძლევდნენ მანდატურები და ნაფიცი მსაჯულების კოორდინატორები. საიას დამკვირვებელს არაერთხელ მოუწია სასამართლოს თანაშემწესთან დაკავშირება, ასევე, მანდატურებისა და ნაფიცი მსაჯულების კოორდინატორებისთვის განმარტება, რომ ასეთ სხდომაზე დასწრება ნებისმიერი დაინტერესებული პირის უფლებაა, თუ მოსამართლის გადაწყვეტილებით არ არის დახურული.

საიას მიერ სასამართლო მონიტორინგის საწყის ეტაპზე გამოვლენილი საჯარო განხილვის უფლების დარღვევასთან დაკავშირებული პრობლემა დღემდე უცვლელი რჩება. თუმცა, აღმოიფხვრა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე საზოგადოების დასწრების პრობლემა. 2013 წელს, მას შემდეგ, რაც საიას

მონიტორებმა გააპროტესტეს ეს უკანონო შეზღუდვა, მათ სა-
შუალება მიეცათ, დასწრებოდნენ აღნიშნულ სხდომებს. 2014
წელს კი, მას შემდეგ, რაც საიამ განაგრძო ამ საკითხთან დაკავ-
შირებით პროტესტის გამოხატვა, სასამართლომ აღმოფხვრა ეს
ხარვეზი და ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომები საზოგადოე-
ბისთვის ღიაა.

IV. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა

საიასათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო პროცესებზე
მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობაზე დაკვირვება.
მხარეთა თანასწორობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს
სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, როდესაც ბრალ-
დებას სახელმწიფო რესურსი და ძალაუფლება გააჩნია, ხოლო
დაცვის მხარე უფრო არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფე-
ბა.

დაკვირვების პირველ ეტაპზევე მოსამართლეები, რომელთა სხ-
დომებზეც დაკვირვება განხორციელდა, ნეიტრალურები და მხ-
არეთა მიმართ პატივისცემით გამსჭვალულები ჩანდნენ და არც
ერთი სასამართლო სხდომის დროს მოსამართლის მხრიდან არ
დაფიქსირებულა ისეთი ქმედება, რაც პროცესის მონაწილე მხა-
რეებზე აშკარა ზეწოლის ფაქტად შეიძლება მიჩნეულიყო. მა-
გრამ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკური
მონაცემების ანალიზის შემდეგ, შესამჩნევი გახდა სასამართ-
ლოს მხრიდან პროკურატურის მიმართ მიკერძოება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსამართლეები ყოველთვის აკ-
მაყოფილებდნენ პროკურატურის შუამდგომლობებს აღკვე-
თის ღონისძიების შესახებ. გარდა ამისა, სასამართლო აკმაყო-
ფილებდა ბრალდების ყველა შუამდგომლობას მტკიცებულე-
ბათა წარდგენის შესახებ, დაცვის წინააღმდეგობის მიუხედა-
ვად. ამასთან, სასამართლო არასოდეს აკმაყოფილებდა დაცვის
შუამდგომლობას მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, თუკი
მას ბრალდება არ უჭერდა მხარს. ყოველივე ეს მიუთითებდა
მოსამართლეთა მიკერძოებაზე პროკურატურის მიმართ.

სასამართლოს ლოიალური დამოკიდებულება ბრალდების მხ-
არის მიმართ გამოჩნდა არსებითი განხილვის სხდომებზეც,
სადაც ერთი წლის განმავლობაში საიას მოსამართლის მიერ
გამოტანილი არც ერთი გამამართლებელი განაჩენი არ დაუფიქ-

სირებია. გარდა ამისა, სასამართლოები ხშირად ბრალდებულებს არასრულად განუმარტავდნენ მათ უფლებებს, რაც ამ უკანასკნელთ უზღუდავდა თავიანთი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას.

საიას მიერ განხორციელებული მონიტორინგის პირველი წლის შედეგებზე დაყრდნობით, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაცვასთან შედარებით ბრალდება პრივილეგიურულ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, როგორც სასამართლოს, ისე კანონმდებლობის მიერ. რამდენიმე მოწმის მიმართ დაფიქსირებულია ზენოლისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტმა გააძლიერა საიას ნუხილი, რომ მოწმის დაკითხვის არსებული წესი პრობლემურია. არსებული წესი ბრალდებას აძლევს შესაძლებლობას, დაკითხვის სავალდებულო და სტრესული პროცესი გამოიყენოს მოწმეზე ზემოქმედებისათვის და მისთვის სასარგებლო ჩვენების მისაღებად. მაგალითად, ერთ-ერთი არსებითი განხილვის დროს, რომელსაც საია 2012 წელს აკვირდებოდა, მოწმემ განაცხადა, რომ მას საქმის მხოლოდ გარკვეული ეპიზოდები ახსოვდა, დანარჩენი კი დაავიწყდა, რადგან გამუდმებული ზენოლის ქვეშ იმყოფებოდა. ამის შემდეგ მოწმემ ტირილი დაიწყო. მან განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა თავისი ჩვენების არც ერთ ნაწილს და რომ მას იძულებით დაანერინეს, თითქოს ეთანხმებოდა აღნიშნულ ჩვენებას. ნათელია, რომ მოწმის დაკითხვის მოქმედი წესი დაცვის მხარეს, ბრალდებასთან შედარებით, მკვეთრად არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს, რითაც იბრუნება მხარეთა თანასწორობისა და პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპი.

შეჯიბრებით პროცესთან დაკავშირებული მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა წინასასამართლო სხდომებზე ჩხრეკა-ამოღების ღონისძიებასთან დაკავშირებით დაფიქსირდა. მონიტორინგის დასაწყისისათვის კანონმდებლობა ჩხრეკა-ამოღების უფლებას მხოლოდ ბრალდების მხარისათვის ითვალისწინებდა, მაშინ როდესაც დაცვა მოკლებული იყო ამ შესაძლებლობას.⁹ გარდა ამისა, თითქმის ყველა ჩხრეკა-ამოღება, რომელსაც საია სამი წლის განმავლობაში აკვირდებოდა, ჩატარებული იყო სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, მისი შემდე-

⁹ 2014 წლის აგვისტოში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, დაცვას მიეცა შესაძლებლობა, ჩხრეკა-ამოღება განახორციელოს დამოუკიდებელი გამოძიებლის მეშვეობით, რის შესახებაც შუამდგომლობით თავდაპირველად სასამართლოს უნდა მიმართოს.

გომი დაკანონებით, რა დროსაც ბრალდება ირწმუნებოდა, რომ ღონისძიება გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ჩატარდა.¹⁰

საიამ ვერ შეძლო გაერკვია, იყო თუ არა ჩხრეკისა და ამოღების ფაქტის შემდგომი დაკანონება დასაბუთებული, ვინაიდან ისინი არ განიხილება ზეპირი მოსმენების შესაბამის სხდომებზე. თუმცა, ის ფაქტი, რომ შემთხვევათა 96% მხოლოდ ჩატარების შემდეგ დაკანონდა, სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ თავიანთი ვალდებულებების დაცულობას ეჭვქვეშ აყენებს. კანონით, მათ არ უნდა ჩაატარონ ან დააკანონონ საგამოძიებო მოქმედება, რომელიც არ არის სათანადოდ არგუმენტირებული და გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე არ ტარდება.

არსებულ რეალობაში დაცვა იყენებდა მტკიცებულების მოსაპოვებლად მისთვის დარჩენილ მინიმალურ შესაძლებლობას და სასამართლოს მიმართავდა შუამდგომლობით, რომ დახმარებოდა მას კონკრეტული დანესებულებიდან მტკიცებულების გამოთხოვნაში მაშინ, როდესაც დანესებულება ამაზე უარს აცხადებდა. ასეთ შემთხვევებში, სასამართლო უარს ამბობდა დაცვის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ეს ჩაითვლებოდა ამოღების ღონისძიებად, რისი უფლებაც მხოლოდ ბრალდების მხარეს ჰქონდა. ასეთი მოცემულობა მნიშვნელოვნად უზღუდავდა დაცვას მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობას და საგრძნობლად ასუსტებდა მის პოზიციებს ბრალდებასთან შედარებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონიტორინგის პროექტის საწყის ეტაპზე დაფიქსირებული სასამართლოს მიკერძოებული დამოკიდებულება პროკურატურის მიმართ, შესაძლოა არა სრულად, მაგრამ ნაწილობრივ მაინც, ნახალისებული იყო საკანონმდებლო დონეზე ბრალდების მხარისათვის გაუმართლებელი უპირატესობების არსებობითაც. ეს წინააღმდეგობაში იყო, და მეტწილად დღესაც არის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპთან.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ პროცესებზე დაცვა, ზოგადად, ბევრად პასიური იყო, ვიდრე ბრალდება. ის ძალიან იშვიათ

¹⁰ ჩხრეკა-ამოღების 196 ღონისძიებიდან მხოლოდ 8 ჩატარდა სასამართლოს წინასწარი ნებართვით, დანარჩენი 188 კი, სასამართლომ მოგვიანებით დააკანონა.

შემთხვევაში წარადგენდა მტკიცებულებებს და ასევე ძალიან იშვიათად ეწინააღმდეგებოდა პროკურორის შუამდგომლობებს. ეს გარემოება შეიძლება აიხსნას იმ რეალობით, რაც იმდროინდელ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არსებობდა და რომელიც დაცვას მოტივაციას უკარგავდა. მიუხედავად ამისა, საიას შეფასებით ეს ვერ გამოდგება დაცვის კვალიფიკაციის ნაკლებობისა და გულგრილობის გასამართლებლად, რაც მონიტორინგის განმავლობაში არაერთხელ დაფიქსირდა.

მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობასთან დაკავშირებული ზემოხსენებული პრობლემა – საკანონმდებლო დონეზე ბრალდებისათვის მინიჭებული უპირატესობები, სამწუხაროდ, მონიტორინგის დაწყებიდან დღემდე უცვლელი რჩება. რაც შეეხება მეორე პრობლემას – სასამართლოს მხრიდან ბრალდებისათვის უპირატესობის მინიჭებას, 2013 წლიდან თანდათანობით შეიცვალა და სასამართლომ უფრო მეტად დააბალანსა თავისი მიდგომა ბრალდებისა და დაცვის მიმართ. ეს დადებითი ცვლილება შესამჩნევი იყო როგორც პირველი წარდგენისა და წინა სასამართლო სხდომებზე, ისე საპროცესო შეთანხმების განხილვის სხდომებზე. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მიმართულებით მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა, სამწუხაროდ, ეს ცვლილება მნიშვნელოვნად არ შეხებია გამამართლებელ განაჩენებს.

პირველი წარდგენის სხდომებზე სასამართლო უაპელაციოდ და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აღარ აკმაყოფილებდა ბრალდების ყველა შუამდგომლობას. ამასთან, მცირედ, მაგრამ სტაბილურად იზრდება აღკვეთის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების მაჩვენებელი. გაიზარდა იმ შემთხვევათა რაოდენობაც, როდესაც სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია აღკვეთის რომელიმე ღონისძიების გამოყენება და ისე გაათავისუფლა ბრალდებული. სასამართლო უფრო აქტიურად ითხოვს შუამდგომლობის დასაბუთებას ბრალდებისგან და თავადაც მეტად დასაბუთებს თავის გადაწყვეტილებებს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ. საიას შეფასებით, ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.


წინასასამართლო სხდომებზე, პროკურორის ნების გათვალისწინების მაგივრად, სასამართლო რიგ შემთხვევებში აღარ აკმაყოფილებს პროკურორის შუამდგომლობას მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ. ამასთან, დაცვის შუამდგომლობის დაკმაყოფილება აღარ არის დამოკიდებული პროკურორის თანხმობა-

ზე. დაფიქსირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც, პროკურორის წინააღმდეგობის მიუხედავად, სასამართლომ დაამტკიცა დაცვის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ნუსხა.

2013 წლის მეორე ნახევარში დაფიქსირდა პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ სრულად არ დააკმაყოფილა ბრალდების შუამდგომლობა მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ და ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნია. შედეგად, მოსამართლემ შეწყვიტა საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა. 2014 წელს საიამ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის კიდევ ერთი შემთხვევა დააფიქსირა.

დაკვირვების დროს აგრეთვე დადგინდა, რომ სასამართლოები თავიანთ ვალდებულებას – ბრალდებულთათვის მათი უფლებების სრულყოფილად განმარტების კუთხით – უკეთ ართმევენ თავს. ეს გაუმჯობესება განსაკუთრებით შესამჩნევია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებების განმარტებისას. ქვემოთ მოცემული დიაგრამა გამოსახავს მდგომარეობას სამწლიანი მონიტორინგის განმავლობაში.

დიაგრამა №8




სამწუხაროდ, მიუხედავად სასამართლოს შეცვლილი დამოკიდებულებისა, უცვლელი დარჩა პროცესებზე დაცვის მხარის პასიურობა. საიამ დააფიქსირა, რომ პროცესზე ბრალდების მხარე ბევრად აქტიურია დაცვასთან შედარებით. დაცვის მხარე კვლავ იშვიათად წარმოადგენს შუამდგომლობებს და, აგრეთვე, იშვი-

ათ შემთხვევაში ეწინააღმდეგება პროკურორის შუამდგომლობებს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ე.წ. „გახმაურებული საქმეები“, სადაც დაცვა ბრალდებაზე მეტად აქტიურიც კი არის.

მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა გამამართლებელი განაჩენების კუთხით. 2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, საიას მონიტორინგის ფარგლებში პირველი გამამართლებელი განაჩენი 2013 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა. 2013 წლის მეორე ნახევარში საიამ სამი გამამართლებელი განაჩენი დააფიქსირა. 2014 წელს (იანვარი-აგვისტო) კი ეს მაჩვენებელი ერთ გამამართლებელ განაჩენამდე შემცირდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გამოსახავს მდგომარეობას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში.

დიაგრამა №9



დასკვნა

საიას მიერ სამი წლის განმავლობაში სასამართლოში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებით ნათელი გახდა, რომ გარკვეული მიმართულებებით სახეზეა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, თუმცა, ზოგი მიმართულებით პროგრესი უმნიშვნელოა:

- მონიტორინგის თავდაპირველ ეტაპზე, სასამართლოები პროკურატურისადმი მიკერძოებულები ჩანდნენ, როდესაც პირველი წარდგენის სხდომებზე ყოველთვის აკმაყოფილებდნენ პროკურორის შუამდგომლობას და აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ ხშირად დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას იღებდნენ. ამ ტენდენციის ცვლილება 2012 წლის არჩევნების შემდეგ დაიწყო და მას შემდეგ სასამართლოს მიდგომების გაუმჯობესება ცალკეული მიმართულებებით გაგრძელდა. კიდევ უფრო შემცირდა აღკვეთის ღონისძიების შესახებ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით პატიმრობის შემთხვევებში.
- სურათი შეიცვალა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახეების თვალსაზრისითაც. 2012 წლის არჩევნების შემდეგ მოსამართლეებმა შეწყვიტეს მხოლოდ პროკურორის პოზიციის მხარდაჭერა და, მიუხედავად პროკურორის მიერ მოთხოვნილი პატიმრობისა, დაიწყეს გირაოს ხშირი გამოყენება. 2014 წლიდან მოსამართლეები უფრო ხშირად იყენებენ გირაოს და პატიმრობისგან განსხვავებულ აღკვეთის ღონისძიებებს, თუმცა, ეს ღონისძიებები კვლავ საქმეთა მცირე ნაწილში გამოიყენება.
- პროკურატურის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებების შესახებ, მეტწილად გირაოს ნაწილში, ჯერ კიდევ დაუსაბუთებელი რჩება. პოზიტიურ ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სასამართლო უფრო ხშირად ცდილობს, თავად გამოარკვიოს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა. სასამართლო, ჩვეულებრივ, ავტომატურად აღარ აკმაყოფილებს ბრალდების მხარის შუამდგომლობას პატიმრობის შესახებ, შესაბამისად, მისი გადაწყვეტილებები პატიმრობასთან დაკავშირებით უფრო დასაბუთებული გახდა.
- 2012 წლის არჩევნების შემდეგ სასამართლოს მიერ დაცვის შუამდგომლობის დაკმაყოფილება მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ აღარ არის ბრალდების თანხმობაზე დამოკიდებული. 2013 წლის შემდეგ კი, სასამართლოები

აღარ აკმაყოფილებენ ბრალდების ყველა შუამდგომლობას წინა სასამართლო სხდომებზე. 2013 წლიდან 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში საიამ დააფიქსირა ორი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა წინასამართლო განხილვის ეტაპზე. მსგავსი შემთხვევა 2013 წლამდე არ დაფიქსირებულა.

- სასამართლომ მოაგვარა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე დასწრების პრობლემა და უკვე ყველა მოქალაქისათვის თავისუფლად არის შესაძლებელი ასეთი ტიპის სხდომებზე დასწრება. თუმცა, სასამართლოები წინასწარ კვლავ არ აქვეყნებენ ინფორმაციას პირველი წარდგენის სხდომების შესახებ.
- რაც შეეხება ჩხრეკასა და ამოღებას, კვლავ არსებობს მიზეზი, რომ ეჭვი შევიტანოთ სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ იმ ვალდებულებების შესრულებაში, რომლის მიხედვითაც, მათ არ უნდა ჩაატარონ ან დააკანონონ ისეთი ჩხრეკა და ამოღება, სადაც სათანადოდ არ იქნება არგუმენტირებული გადაუდებელი აუცილებლობა.
- მონიტორინგის საწყის ეტაპზე მოსამართლეები ძალიან პასიურები იყვნენ და ყველა საპროცესო შეთანხმებას ადასტურებდნენ სასჯელის სამართლიანობის შემოწმების გარეშე. 2013 წლის მეორე ნახევრიდან მოსამართლეები უფრო გააქტიურდნენ საპროცესო შეთანხმების განხილვისას. მოსამართლეები კიდევ უფრო გააქტიურდნენ 2014 წელს და მონიტორინგის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა სამი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ არასამართლიანად მიიჩნია საპროცესო შეთანხმებით დადგენილი სასჯელი და არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. შემცირდა იმ საპროცესო შეთანხმებების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებშიც ჯარიმა იყო გამოყენებული. შემცირდა ჯარიმების საშუალო ოდენობაც, თუმცა, მონიტორინგის ბოლო პერიოდში (2014 წლის იანვარი-აგვისტო) ის კვლავ გაიზარდა.
- რაც შეეხება ბრალდებულისათვის კონკრეტული უფლებების განმარტებას, ამ მიმართულებით გარკვეული პროგრესი დაფიქსირდა. მოსამართლეები გაცილებით უკეთ ახერხებდნენ ბრალდებულთა ინფორმირებას არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით მათი უფლებების

შესახებ და უკეთ არკვევდნენ იყო თუ არა საპროცესო შეთანხმებები არასათანადო მოპყრობის შედეგი.

ზემოსხენებული ცვლილებები, შესაძლოა, ქვეყანაში პოლიტიკური გარემოს ცვლილებით ყოფილიყო გამონეული, რამდენადაც სასამართლოებმა საქმეებისადმი განსხვავებული მიდგომა გახმაურებული საქმეების განხილვების დაწყების შემდეგ გამოავლინეს. აღნიშნული ცვლილებები, შესაძლოა, მთავრობის ცვლილებითაც ყოფილიყო განპირობებული. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, საიას სასამართლო მონიტორინგის პროექტის მეშვეობით პრობლემების მართებულმა იდენტიფიცირებამ, მათზე საჯაროდ მსჯელობამ და შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზებამაც თავისი შედეგი გამოიღო. საინტერესოა, რომ სასამართლოებში მდგომარეობა საიას დაკვირვების ხანგრძლივობის პროპორციულად გაუმჯობესდა. სამწუხაროდ, ის სასამართლოები, რომლებსაც საია არ დაკვირვებია, არ ითვალისწინებენ სხვა სასამართლოებში გამოვლენილ პრობლემებზე დაყრდნობით შემუშავებულ რეკომენდაციებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემები სისტემური ხასიათისაა და არა – ინდივიდუალური.

საია დღესაც აგრძელებს სასამართლოს მონიტორინგს სამ საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოებში და იმედს იტოვებს, რომ საიას მიერ აქამდე შემუშავებულ რეკომენდაციებსა და მომავალში გაკეთებულ დასკვნებს გაიზიარებენ რეგიონული სასამართლოებიც, სადაც საია პროცესებს არ აკვირდება. საიას რწმენით, ეს ხელს შეუწყობს საქართველოში სისხლის სამართლის სისტემის უფრო მეტად სრულყოფა-გაუმჯობესებას.